საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია კოპალეიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

მაია კოპალეიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - მაია კოპალეიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - მაია კოპალეიშვილის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მიერ გადმოცემული მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით, გამოყოფენ კანდიდატის ისეთ თვისებებს როგორიცაა პროფესიონალიზმი, ერთგულება, გულისხმიერება, სამართლიანობა, თანადგომის საოცარი უნარი და შრომისმოყვარეობა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთაგან ერთი რესპოდენტი კანდიდატის სისუსტედ უთითებს, რომ მაია კოპალეიშვილის სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულება ზოგჯერ იწვევს მის მიმართ ადამიანების განაწყენებას.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მაია კოპალეიშვილი არის პრინციპული და მიუკერძოებელი პიროვნება. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. მაია კოპალეიშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის** მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოსამართლე თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა და კოლეგების მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. რაც შეეხება მის ქცევას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრის - მაია კოპალეიშვილის მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მიერ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციის თანახმად, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის მაია კოპალეიშვილის მიმართ დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე ინფორმაცია არ ფიქსირდება. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

			პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით შეფასებისას გათვალისწინებული იქნა კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და მისი ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. კანდიდატი კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად. **ფინანსური ვალდებულების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მაია კოპალეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოების და მახასიათებლის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა ითქვას და აღინიშნოს კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა გასაუბრებისას

			ვერ უპასუხა რამოდენიმე შეკითხვას, ასევე ვერ გამოავლინა სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. (18.06.2005 წ)
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა და გაანალიზებული მის მიერ წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე სამი სამეცნიერო პუბლიკაცია და განსხვავებული აზრი და უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება ასევე სამეცნიერო პუბლიკაციები დამაჯერებლად დასაბუთებულია. მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ არის დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული. ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. კანდიდატი როგორც გადაწყვეტილებაში, ასევე განსხვავებულ აზრსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად. აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას კანდიდატი სამართლებრივი საკითხის მსჯელობის დროს, კონკრეტული პასუხის მაგივრად შემოიფარგლა ზოგადი დებულებებით.
წერის უნარი	16	20	**წერის უნარის კუთხით** კანდიდატის - მაია კოპალეიშვილის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაია

			კოპალეიშვილი წერის დროს ხშირად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ნააზრევის გასაგებად გადმოცემას აფერხებს. ასევე ფიქსირდება გარკვეული ტექნიკური ხარვეზები.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - მაია კოპალეიშვილი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. აქვს სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარიც. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი, როდესაც იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სასამართლო პროცესს წარმართავდა თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევდა მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იცავდა სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ჰქონდა მოსამართლის შესაფერისი იერსახე. ამასთან უნდა ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილს ხანგრძლივი დროის პერიოდში არ განუხორციელებია სამოსამართლო საქმიანობა, ამიტომ რთულად განჭვრეტადია მისი მოქმედება სტრესულ სიტუაციაში.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ახორციელებს აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს სალექციო კურსს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში. არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის და წიგნის ავტორი და თანაავტორი.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** აქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში, შეხვედრებსა და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) არის ავტორი, თანაავტორი არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიის თუ სამეცნიერო პუბლიკაციის, კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს სამი სამეცნიერო პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	**86**	**100**	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21